საბაკალავრო პროგრამის დასახელება: კინო-ტელე ხელოვნება / Cinema and Television Arts

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი / Bachelor of Arts in Cinema and Television Arts

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი მერაბ კოკოჩაშვილი

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

პროგრამის მიზანი:

საუნივერსიტეტო სწავლების პრინციპიდან გამომდინარე პროგრამა ითვალისწინებს არა მხოლოდ დარგის შესაბამისი ვიწრო სპეციფიკის შესწავლას, არამედ აუდიო–ვიზუალური პროფესიის ათვისებასთან ერთად შემოქმედი ჰუმანიტარის აღზრდას. მომავალ კინო–ტელე შემოქმედს ძალზე დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება, რადგან მისი პროფესია მას საშუალებას აძლევს თითქმის ყოველდღიურად იყოს კონტაქტში საზოგადოებასთან და ზემოქმედება იქონიოს მასზე. აქედან გამომდინარე მაღალი პროფესიონალიზმისა და საუნივერსიტეტო განათლების გარეშე მათი პროფესიულ სტუდიაში მუშაობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. არანაკლებ მნიშვნელოვანია და აქტუალური ვითარება, რომ თითქმის საყოველთაო კომპიუტერიზაციის და ვიდეოტექნიკის მასიური ათვისების შედეგად ფაქტიურად ყველა ოჯახი ვიდეოსტუდიის პატრონი ხდება. ამ პირობებში სახელმწოფო საგანმანათებლო სისტემა ვალდებულია იზრუნოს შესაბამისი მაღალი კულტურის დანერგვაზე ამ დარგში, რადგან აუდიო–ვიზუალური ხელოვნება თავისუფალი აზრის გამოხატვის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაა, ხოლო თავისუფალი აზრის გამოხატვა დემოკრატიული საზოგადოების შექმნის ერთ–ერთი საფუძველი. პროგრამა ითვალისწინებს ორი ძირითადი სპეციალობის: კინო-ტელე რეჟისორის და კინო-ტელე ოპერატორის სპეციალობის შესწავლას და აუცილებელი საგნების ცოდნას (დრამატურგია, ტელე–კინო მონტაჟის სახეობები, კინოსა და ტელევიზიის ისტორია, მსახიობის ოსტატობა, სმოვანება აუდიო–ვიზუალურ ხელივნებაში), რაც სტუდენტს, გარდა არჩეული სპეციალობისა, სავარაუდო დასაქმების სფეროებში მოღვაწეობისთვისაც მოუმზადებს საფუძველს. (ხელოვნებისმცოდნეობა, მასმედია, სარეკლამო საქმიანობა ბიზნესის, წარმოების თუ სხვა სფეროებში).

პროგრამის შედეგები:
ცოდნა და გაცნობიერება:

- კინო-ტელე რეჟისურის ძირითადი პრინციპების, კონცეფციებისა და მეთოდების ცოდნა;
- ტელეჟურნალისტიკის საფუძვლების ცოდნა;
- მხატვრული ნაწარმოების აგების სპეციფიკის ცოდნა;

- აუდიოვიზუალური ხელოვნების შექმნისთვის აუცილებელი საფუძვლების ცოდნა
- საპროდიუსერო საქმის ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების ცოდნა
- კინოსა ტელევიზიაში ოპერატორის საქმიანობის ძირითადი რპინციპების ცოდნა.

ცოდნის პრაქტიკული გამოყენება / პრაქტიკული უნარები:

- მოკლე და სრულმეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური და მუსიკალური (რეკლამა, კლიპი, საინფორმაციო სიუჟეტი, ეტიუდი) შექმნის უნარი
- მსახიობთან მუშაობის უნარი
- დიალოგის აგების უნარი.
- სახვითი, ხმოვანი და მუსიკალური მონტაჟის პრაქტიკული უნარი.
- რეპორტაჟზე, დოკუმენტურ პორტრეტზე, პირდაპირ ეთერში მუშაობის უნარი.
- ტელეწამყვანთან მუშაობის უნარი.
- ტელე-კინო პროდუქციის შექმნისას შესაბამისი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების უნარი

ზოგადი / ტრანსფერული უნარები:

- მიმდინარე ინფორმაციის და / ან სიტუაციის ათვისებისა და გამოყენების ანალიზის უნარი.
- კომუნიკაცია მკაფიოდ და ეფექტურად, როგორც ზეპირად, წერილობით ასევე აუდიოვიზუალური ფორმით.
- დამოუკიდებელ პრაქტიკულ საქმიანობის უნარი.
- კნიო-ტელე ხელოვნება, როგორც კოლექტიური / შემოქმედება - ჯგუფში ეფექტურად მუშაობა. პასუხისმგებლობის აღება თავის და სხვის მიერ შესრულებულ სამუშაოზე.
- დროის ორგანიზებისა და სამუშაოების პრიორიტეტიზაციის უნარი;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტის გამოყენების უნარი.

დასაქმების სფეროები: წარმატებულ კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს რეჟისორად და ოპერატორად, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო კინოსტუდიებში, ტელევიზიებში, სარეკლამო სააგენტოებში. კუსდამთავრებულს შეუძლია იყოს პროდიუსერი, როგორც საკუთარი, ისე სხვა ნებისმიერი ნამუშევრის. კურსდამთავრებული შეიძლება გახდეს საჯარო მოხელე კულტურის დარგიში, აუდიოვიზუალური ხელოვნების ექპერტი, პროფესიული სახელოვნებო კავშირის მუშაკი და ა.შ.

სწავლის გაგრძელების საშუალება: პროგრამის დამთავრების შემდეგ სტუდენტი შეძლებს სწავლის გაგრძელებას, პირველ რიგში, ხელოვნების ჯგუფში შემავალ სამაგისტრო პროგრამებზე და ჰუმანიტარული მეცნიერებების ისეთ პროგრამებზე, სადაც არ იქნება მოთხოვნა სპეციფიკურ კვალიფიკაციაზე (სავარაუდოდ, აღმოსავლური და სხვა უცხო ენები).

ძირითად სპეციალობაზე მიღების წინაპირობა: სტუდენტმა უნდა გაიაროს შესაბამისი გასაუბრება.

ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: II-III სემესტრი

პროგრამის მოცულობა: რვა სემესტრი – 240 კრედიტი: 1) ძირითადი პროგრამა - 120 კრედიტი; 2) დამატებითი პროგრამა – 60 კრედიტი; 3) საფაკულტეტო საგნები – 50 კრედიტი; 4) თავისუფალი საგნები – 10 კრედიტი.

შეფასების ზოგადი წესი: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX

0-40	ჩაიჭრა, F

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: თსუ IV და V კორპუსებში განთავსებული სარეჟისორო-სამონტაჟო და ფოტო-საოპერატორო ლაბორატორიები, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი კომპიუტერული-სამონტაჟო, გადამღები და განათებისთვის აუცილებელი ტექნიკითა და დამხმარე საშუალებებით.

დამატებითი (minor) პროგრამა

დამატებითი საბაკალავრო პროგრამის დასახელება: ტელე–კინო ხელოვნება

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი მერაბ კოკოჩაშვილი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება: დამატებითი სპეციალობის ფარგლებში მოსმენილი საგნები აისახება დიპლომის დანართში, მაგრამ დამატებითი სპეციალობა სტუდენტს არ ანიჭებს კვალიფიკაციას და აკადემიურ ხარისხს.

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია, დამატებითი კომპეტენციები მიანიჭოს ბაკალავრს ტელე–კინო ხელოვნების დარგში.

სწავლის შედეგები:

- კინო-ტელე რეჟისურის ძირითადი პრინციპების, კონცეფციებისა და მეთოდების ცოდნა;
- ტელეჟურნალისტიკის საფუძვლების ცოდნა;
- მხატვრული ნაწარმოების აგების სპეციფიკის ცოდნა;
- აუდიოვიზუალური ხელოვნების შექმნისთვის აუცილებელი საფუძვლების ცოდნა
- მსახიობთან მუშაობის უნარი
- დიალოგის აგების უნარი.
- სახვითი, ხმოვანი და მუსიკალური მონტაჟის პრაქტიკული უნარი.
- რეპორტაჟზე, დოკუმენტურ პორტრეტზე, პირდაპირ ეთერში მუშაობის უნარი.
- ტელეწამყვანთან მუშაობის უნარი.
- ტელე-კინო პროდუქციის შექმნისას შესაბამისი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების უნარი
- მიმდინარე ინფორმაციის და / ან სიტუაციის ათვისებისა და გამოყენების ანალიზის უნარი.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

დასაქმების სფეროები: დასაქმებას განსაზღვრავს კურსდამთავრებულის ძირითადი სპეციალობა.

დამატებით სპეციალობაზე მიღების წინაპირობა: დამატებითი სპეციალობა ტელე–კინო ხელოვნება შეუძლია ისწავლოს უნივერსიტეტის ნებისმიერი სპეციალობის სტუდენტმა.

პროგრამის მოცულობა: დამატებითი სპეციალობის მოცულობა – 60 კრედიტი.

ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა დამატებითი პროფესია აირჩიოს მესამე სემესტრიდან.